



დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების
შეტანის თაობაზე
(II წარდგენა)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დასკვნა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 139-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 40-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის, თანდართული მასალებისა და განახლებული საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძველიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო

ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი. მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების განახლებულ პროგნოზებში ასახულია 2022 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის პროგნოზები 2021 წლისთვის. კერძოდ, **რეალური მშპ-ს** ზრდის ტემპი, ბიუჯეტის კანონის მოქმედ რედაქციაზე თანდართულ პროგნოზთან შედარებით (შემდგომში - წინა პროგნოზი) 3.3 პროცენტული პუნქტით იზრდება და 10%-ს შეადგენს. შედეგად, ადგილი აქვს ბიუჯეტის მოქმედ რედაქციაზე თანდართული ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარის რეალიზებას.¹

ცხრილი 1. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები - 2020-2021წწ.

	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ბიუჯეტი საწყისი კანონი	2021 წლის ბიუჯეტი I ცვლილება	2021 წლის ბიუჯეტი II ცვლილების პროექტი
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	-6.8%	4.3%	7.7%	10.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	49,267	53,443	57,201	58,529
მშპ-ს დეფლატორი	7.3%	3.8%	7.5%	8.0%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	5.2%	2.5%	6.5%	8.9%
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (პროცენტულად მშპ-სთან)	-12.4%	-8.5%	-10.4%	-8.4%

კანონპროექტით 8.0%-მდე (0.5 პპ-ით) იზრდება **მშპ-ს დეფლატორის** საპროგნოზო მაჩვენებელი. ამ შემთხვევაშიც, ადგილი აქვს ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარის რეალიზებას.² რეალური მშპ-ს ზრდისა და მშპ-ს დეფლატორის გათვალისწინებით, ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი 58.5 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა (გაიზარდა 1.3 მლრდ ლარით).

სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ტენდენციის გათვალისწინებით, რომელმაც ოქტომბერში 12.8% შეადგინა, 8.9%-მდე (2.4 პპ-ით) იზრდება 2021 წლის საშუალო წლიური **ინფლაციის** საპროგნოზო მაჩვენებელი. წარმოდგენილი საშუალოვადიანი პროგნოზით, ინფლაცია მიზნობრივ 3.0%-იან ნიშნულს 2023 წელს უბრუნდება.

წინა პროგნოზთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით მცირდება **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის** მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი და 8.4%-ს უტოლდება. აღნიშნული ძირითადად მომსახურების ექსპორტის მოსალოდნელი ზრდით არის გამოწვეული (წინა პროგნოზთან შედარებით გაზრდილია 14.7%-ით; 311 მლნ აშშ დოლარით). რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის პროგნოზებს, ექსპორტის საერთო მოცულობა 474 მლნ აშშ დოლარით (6.5%-ით), ხოლო


¹ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარით, რეალური მშპ-ს ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 10.2%-ს შეადგენს.

² 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარით, მშპ-ს დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.0%-ს შეადგენს.

იმპორტის საერთო მოცულობა 188 მლნ აშშ დოლარით (1.8%-ით) იზრდება და შესაბამისად, 7.7 მლრდ და 10.5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის რეალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი საქართველოსთვის ასევე ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, თუმცა კანონპროექტში მოცემული პროგნოზი აღემატება ყველა საფინანსო ინსტიტუტის ანალოგიურ მაჩვენებელს. ასევე, საფინანსო ინსტიტუტების მიერ სექტემბერ-ოქტომბერში გამოქვეყნებული საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზები აღემატება კანონპროექტით წარმოდგენილ პროგნოზს.

დიაგრამა 1. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ეკონომიკური ზრდისა და საშუალო წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოსთვის.³



კანონპროექტზე თანდართულ „მაკროეკონომიკული სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში იდენტიფიცირებულ რისკებს⁴ დაემატა ერთი ახალი რისკი - მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრება. აღნიშნული რისკები 2022 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაზე თანდართული რისკების ანალოგიურია. საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ეკონომიკური შოკების ანალიზი, წინა ვერსიის მსგავსად, ძირითად შემთხვევაში არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რისკების სხვადასხვა ხარისხით მატერიალიზაცია რა მასშტაბით მოახდენს გავლენას ეკონომიკურ პარამეტრებზე. აღნიშნულის შესახებ ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც.

არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ასევე განახლდა ოპტიმისტური და პესიმისტური მაკროეკონომიკური სცენარები.

³ წყარო: WB, Competition and Firm Recovery Post-COVID-19, სექტემბერი, 2021

ADB, Asian Development Outlook, სექტემბერი, 2021

IMF, Financial System Stability Assessment, სექტემბერი, 2021

EBRD, Georgia Country Diagnostic, ოქტომბერი, 2021

⁴ პანდემიის გამწვავება, ტურიზმის გლობალური მოლოდინების გაუარესება, გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება, რეგიონული რისკები, გაზრდილი გლობალური ვალი, გლობალურ მომხმარებელთა ქცევა.

ცხრილი 2. 2021 წლის საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური ეკონომიკური სცენარებით განსაზღვრული პროგნოზები.

ინდიკატორი	2021 კანონი, I ცვლილება საბაზისო	2021 პროექტი, II ცვლილება საბაზისო	2021 პროექტი, II ცვლილება ოპტიმისტური	2021 პროექტი, II ცვლილება პესიმისტური
რეალური მშპ-ის ზრდა	7.7%	10.0%	10.8%	9.5%
ინფლაცია	6.5%	8.9%	9.4%	8.8%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-10.4%	-8.4%	-7.6%	-8.7%
მიმდინარე ანგარიში (მლნ USD)	-1,830	-1,529	-1,402	-1,575
საქონლის ექსპორტი (მლნ USD)	5,124	5,287	5,342	5,263
საქონლის იმპორტი (მლნ USD)	-8,754	-8,896	-9,055	-8,819
მომსახურების ექსპორტი (მლნ USD)	2,199	2,430	2,663	2,334
მომსახურების იმპორტი (მლნ USD)	-1,579	-1,624	-1,657	-1,613
ბიუჯეტის დეფიციტი	-6.9%	-6.7%	-6.4%	-6.7%
მთავრობის ვალი/მშპ	53.9%	51.1%	50.5%	51.4%

კანონპროექტით, არსებულ გეგმასთან შედარებით 166.1 მლნ ლარით (0.9%-ით) იზრდება შემოსულობები და 18.1 მლრდ ლარს უტოლდება. ასევე იზრდება გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი - 297.4 მლნ ლარით (1.5%-ით) და 19.8 მლრდ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პროექტი ითვალისწინებს ბიუჯეტის ნაშთიდან (2.3 მლრდ ლარი) 1.7 მლრდ ლარის გამოყენებას, რაც მოქმედი კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს 131 მლნ ლარით აღემატება. შედეგად, წლის ბოლოს ნაშთის საპროგნოზო მოცულობა დაგეგმილია 614 მლნ ლარის დონეზე, საიდანაც 594 მლნ ლარი განთავსებულია კომერციული ბანკების 10 წლიან სადეპოზიტო სერთიფიკატებში. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მცირდება არსებული ფისკალური ბუფერის მოცულობა (20 მლნ ლარამდე).

ცხრილი 3. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები (მლნ ლარი).

	2021 წლის ბიუჯეტი საწყისი კანონი (1)	2021 წლის ბიუჯეტი I ცვლილება (2)	2021 წლის ბიუჯეტი II ცვლილების პროექტი (3)	ცვლილება (3)-(2)
შემოსულობები	16,758	17,933	18,099	166
შემოსავლები	11,179	12,249	12,549	300
არაფინანსური აქტივების კლება	150	350	350	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	150	210	210	0

ვალდებულებების ზრდა	5,279	5,124	4,990	-134
მათ შორის საშინაო	0	-150	-300	-150
მათ შორის საგარეო	5,279	5,274	5,290	16
გადასახდელები	18,385	19,499	19,796	297
ხარჯები	12,758	13,899	14,232	333
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,417	2,546	2,526	-21
ფინანსური აქტივების ზრდა	403	317	317	0
ვალდებულებების კლება	2,807	2,737	2,722	-15
მათ შორის საშინაო	43	43	43	0
მათ შორის საგარეო	2,764	2,694	2,679	-15
ნაშთის ცვლილება	-1,626	-1,566	-1,697	-131

შემოსულობებში 300 მლნ ლარით (2.4%-ით) იზრდება შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, რაც სრულად საგადასახადო შემოსავლების ზრდითაა გამოწვეული (ძირითადად, საშემოსავლო გადასახადით - იზრდება 95 მლნ ლარით (2.8%-ით), დამატებული ღირებულების გადასახადით - იზრდება 60.8 მლნ ლარით (1.3%-ით) და მოგების გადასახადით - იზრდება 50 მლნ ლარით (5.3%-ით).

ცხრილი 4. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)

	2021 წლის ბიუჯეტი საწყისი კანონი (1)	2021 წლის ბიუჯეტი I ცვლილება (2)	2021 წლის ბიუჯეტი II ცვლილების პროექტი (3)	ცვლილება (3)-(2)	ცვლილება % (3)-(2)
საგადასახადო შემოსავლები	10,342	11,063	11,363	300	2.7%
საშემოსავლო გადასახადი	3,315	3,405	3,500	95	2.8%
მოგების გადასახადი	951	951	1,001	50	5.3%
დღგ	4,347	4,747	4,807	61	1.3%
აქციზი	1,582	1,800	1,825	25	1.4%
იმპორტის გადასახადი	77	80	81	1	1.6%
სხვა გადასახადები	70	80	148	68	85.0%

გადასახდელების ზრდა ძირითადად გამოწვეულია პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების ზრდით. კერძოდ, 376 მლნ ლარით⁵ იზრდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები, რაც ასახულია „ხარჯების“ მუხლში.

⁵ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოყოფილი დაფინანსებიდან 250 მლნ ლარი განკუთვნილია უკვე შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის.

ცხრილი 5. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის კომპონენტები (მლნ ლარი).

	2021 წლის ბიუჯეტი საწყისი კანონი	2021 წლის ბიუჯეტი I ცვლილება	2021 წლის ბიუჯეტი II ცვლილების პროექტი	ცვლილება (3)-(2)	ცვლილება % (3)-(2)
ხარჯები	12,758	13,899	14,232	333	2.4%
შრომის ანაზღაურება	1,615	1,637	1,641	4	0.2%
საქონელი და მომსახურება	1,607	1,799	1,852	53	2.9%
პროცენტი	918	868	798	-70	-8.1%
სუბსიდიები	650	858	858	0	0.0%
გრანტები	791	970	935	-35	-3.6%
სოციალური უზრუნველყოფა	5,362	5,655	6,003	348	6.2%
სხვა ხარჯები	1,817	2,111	2,144	33	1.6%

პროგრამების ჭრილში აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- ასიგნებები უკორექტირდება მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული 134 პროგრამიდან⁶ 12 პროგრამას. მათ შორის, 9 პროგრამის დაფინანსება იზრდება ჯამურად 436 მლნ ლარით, ხოლო 3 პროგრამის მცირდება - ჯამურად 70 მლნ ლარით.
- კანონპროექტი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შემცირებას 69 მლნ ლარით. კერძოდ, 85 მლნ ლარით მცირდება საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები, ხოლო 16 მლნ ლარით იზრდება დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების პროგრამა.⁷

ცხრილი 6. პროგრამები, რომელთაც წარმოდგენილი კანონპროექტით ეცვლებათ დაფინანსება (მლნ ლარი).

პროგრამის დასახელება	2021 წლის ბიუჯეტი საწყისი კანონი	2021 წლის ბიუჯეტი I ცვლილება	2021 წლის ბიუჯეტი II ცვლილების პროექტი	(3)-(2)	(3)-(2) %
საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (09 01)	84	84	72	-12	-14.3%
მეწარმეობის განვითარება (24 07)	302	357	322	-35	-9.8%
საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)	29	29	6	-23	-78.8%
მოსახლეობის სოციალური დაცვა (27 02)	3,780	3,855	3,876	21	0.6%
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (27 03)	1,549	2,011	2,365	355	17.6%
თავდაცვის მართვა (29 01)	340	357	361	5	1.3%
პროფესიული სამხედრო განათლება (29 02)	52	53	54	1	2.3%


⁶ პროგრამების რაოდენობა არ მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს.

⁷ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეულია ქვეყანაში შრომის ანაზღაურების დაგეგმილთან შედარებით მაღალი ზრდით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)	61	61	69	8	13.6%
ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	80	80	83	3	3.8%
სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)	34	34	36	2	6.0%
თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (29 08)	110	110	121	11	10.0%
ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (29 09)	133	145	175	30	20.7%
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (56 01)	3,148	3,028	2,963	-65	-2.1%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (56 02)	570	570	550	-20	-3.5%
დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (56 11)	220	220	236	16	7.3%


ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 0.2 პროცენტული პუნქტით (43 მლნ ლარით) მცირდება და 6.7%-ს შეადგენს (3.9 მლრდ ლარი). დეფიციტის შემცირება შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლისა და ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მოცულობის ზრდით არის განპირობებული. კერძოდ, იზრდება დეფიციტის ფორმირებაზე მოქმედი ყველა კომპონენტის პროგნოზი, თუმცა შემოსავლების მაჩვენებლის ზრდა (286 მლნ ლარი) აჭარბებს ხარჯებისა (175 მლნ ლარი) და არაფინანსური აქტივების ცვლილების (68 მლნ ლარი) ზრდის მაჩვენებლების ჯამს.

დიაგრამა 2. 2021 წლის ერთიანი ბიუჯეტის ბალანსის საპროგნოზო მაჩვენებლები (მლნ ლარი).



კანონპროექტზე თანდართული საშუალოვადიანი პროგნოზით (საბაზისო სცენარით), კანონის მოქმედი რედაქციის მსგავსად, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 3.0%-იან ზღვარში 2023 წელს ბრუნდება (2023 წელს დეფიციტის მაჩვენებელი 2.8%-ს შეადგენს).

დიაგრამა 3. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებლები საშუალოვადიან პერიოდში (%-ული წილი მშპ-სთან).




IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის⁸ მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელიც 6.9%-დან 6.7%-მდე მცირდება. საშუალოვადიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელიც ინარჩუნებს კლებად ტენდენციას (2022 - 4.4%; 2023 - 3.0%; 2024 - 2.7%; 2025 - 2.5%).

ვალის წესის საპროგნოზო მაჩვენებელი 2021 წლის ბოლოსთვის 51.8%-ს უტოლდება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული. აღნიშნული მაჩვენებელი ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ პროგნოზთან (54.6%-თან) შედარებით 2.8 პროცენტული პუნქტით მცირდება. ვალის წესის მაჩვენებლის გაუმჯობესება განაპირობა როგორც ნომინალური მშპ-ს პროგნოზის ზრდამ, ასევე მთავრობის ვალისა და PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებების შემცირებამ.

მთავრობის ვალი არ მოიცავს იმ სახელმწიფო საწარმოების ვალს, რომლებიც IMF-ის რეკომენდაციით ფინანსთა სამინისტროს მიერ 2020 წელს დაკლასიფიცირდა როგორც სამთავრობო სექტორის ნაწილი. 2020 წლის ბოლოსთვის, ასეთი საწარმოების ვალდებულებების მოცულობა (310 მლნ ლარს) 2021 წლის მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის 0.5%-ს შეადგენს. თუ 2021 წლის ვალის წესის მიზნებისთვის გაანგარიშებულ საპროგნოზო მაჩვენებელს (მშპ-ს 51.8%) დავუმატებთ სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებებს, იგი 52.3%-მდე გაიზრდება. ვალის წესის სრულფასოვნად წარმოდგენის საკითხის მნიშვნელობაზე ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც.

⁸ GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით მოიცავს ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც.


დიაგრამა 4. მთავრობის ვალის ნაშთის⁹ (მარცხენა ღერძი, მლრდ ლარი) და ვალის წესის მაჩვენებლის (მარჯვენა ღერძი) დინამიკა¹⁰ (%).



* 2021 წლის მოცემული მაჩვენებელი დამატებით ითვალისწინებს სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს.

სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა მცირდება როგორც ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, ასევე კანონის პირველი ცვლილებით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით (შესაბამისად, 2.4 მლრდ და 967 მლნ ლარით) და 31.3 მლრდ ლარს შეადგენს. ვალის ნაშთის საპროგნოზო მაჩვენებლის მოცულობაზე გავლენა მოახდინა როგორც ეროვნული ვალუტის გამყარებამ (შემცირდა 1.3 მლრდ ლარით), ასევე ახალი სესხების აღებამ (გაიზარდა 299 მლნ ლარით).

დიაგრამა 5. სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის დინამიკა წლების მიხედვით (მლრდ ლარი).




⁹ სახელმწიფო ვალის ნაშთს გამოკლებული ეროვნული ბანკის ვალი IMF-ის მიმართ და დამატებული საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი.

¹⁰ მთავრობის ვალისა და PPP პროექტიდან მომდინარე ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ფარდობა შესაბამისი კანონით განსაზღვრულ მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელთან.

სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 150 მლნ ლარით (-300 მლნ ლარამდე) მცირდება, რაც გამოწვეულია სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის მოცულობის შემცირებით;
- 105 მლნ ლარით (5.2 მლრდ ლარამდე) მცირდება სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები. კერძოდ, საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის მაჩვენებელი მცირდება 65 მლნ ლარით, ხოლო საშინაო ვალის - 40 მლნ ლარით;
- 54 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში იგეგმება ჯამურად 1.4 მლრდ ლარის ოდენობის საგარეო წყაროებიდან მოზიდული რესურსის ათვისება, რაც 5.4 მლნ ლარით ნაკლებია ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით;¹¹
- 2021 წელს საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტების მოცულობა იზრდება 16.1 მლნ ლარით და 5.3 მლრდ ლარს შეადგენს. აღნიშნული განპირობებულია ბიუჯეტის მოქმედი კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით საინვესტიციო კრედიტების მოცულობის 13 მლნ ლარით შემცირებით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების 29 მლნ ლარით ზრდით.

დიაგრამა 6. საგარეო კრედიტები მიზნობრიობის მიხედვით (მლნ ლარი).



* აღნიშნავს საპროგნოზო მაჩვენებლებს

საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით არ მომხდარა **კაპიტალური პროექტების დანართის, სსიპ/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების** შესახებ ინფორმაციისა და **პროგრამული ბიუჯეტის დანართის** განახლება, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს შესაბამის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზსა და ანგარიშგებას.

¹¹ ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, EIB, AIIB) (25 02 03 02) - პროგრამის წლიური გეგმა 7.5 მლნ ლარით იზრდება; Log-In Georgia (WB) (24 08 03) - პროგრამის წლიური გეგმა 12.9 მლნ ლარით მცირდება; საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაცია ბ (ADB, EIB) (25 02 03 12) - პროგრამის განხორციელება ჩერდება.